ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 15 თებერვლის სხდომის

ოქმი # 2

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 32 წევრიდან - 20

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
2. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხსენებელი: რ. ჯორბენაძე
3. პროფესორ იოსებ სალუქვაძის წერილის განხილვა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე ჩატარებული სხდომისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრად პროფესორ თ. დოლბაიას კანდიდატურის დაყენების თაობაზე
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
4. პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის წერილის განხილვა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებაზე სხდომის ჩატარებისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრად ასოცირებულ პროფესორ თამარ ქარაიას კანიდატურის დაყენების თაობაზე.
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
5. დოქტორანტ გ. ბერიძის განცხადების განხილვა რექტორის მიერ დოქტორანტების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
6. დოქტორანტ თ. გუგუშვილის განცხადების განხილვა რექტორის მიერ დოქტორანტების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
7. დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას რეცენზენტებისა და სადისერტაციო კომისიის დამტკიცება.
   მომხსენებელი: ს. დუნდუა
8. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ცვლილებების განხორციელება
   მომხსენებელი: რ. ჯორბენაძე
9. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ რეაკრედიტაციაზე წარდგენა;

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 26 იანვრის სხდომაზე ფაკულტეტის მდივნად არჩეულ იქნა მისი კანდიდატურა. თუმცა, დეკანად მისი არჩევის შემდეგ, საჭირო კვლავ ხდება საჭირო ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა. ს. დუნდუამ ფაკულტეტის მდივნის კანდიდატურად წამოაყენა ასოცირებული პროფესორის, ნათელა ფარცხალაძის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. მაცაბერიძემ.
დაადგინეს: საფაკულტეტო საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი, ნათელა ფარცხალაძე.
მოისმინეს: 2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ საბჭოს წევრებს გააცნო 2022-2023 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის პროექტი.
აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, თ. მატარაძემ, მ. წერეთელმა, ვ. ლორთქიფანიძემ.
დაადგინეს: მიღებულ იქნას მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით და გადაეცეს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად (თან ერთვის ოქმს)

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო პროფესორ იოსებ სალუქვაძის განცხადება საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე სხდომის ჩატარების თაობაზე, სადაც განხილულ იქნა ასოცირებულ პროფესორ ნინო პავლიაშვილის განცხადება ფაკულტეტის საბჭოს წევრობიდან განთავისუფლების შესახებ. მის ნაცვლად, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე კენჭისყრის შედეგად ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეულ იქნა პროფესორი თამარ დოლბაია. ასევე ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროფესორი თამარ დოლბაია არჩეულ იქნა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელად (თან ერთვის ოქმს).
აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ნ. ტალახაძემ.
დაადგინეს: ნ. პავლიაშვილის ნაცვლად ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეულ იქნას პროფესორი თ. დოლბაია.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დეკანად მის არჩევასთან დაკავშირებით, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებისთვის გათავისუფლდა საბჭოს წევრის ერთი ადგილი. ს. დუნდუამ დამსწრეთ გააცნო პროფესორ მ. მაცაბერიძის განცხადება პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებაზე სხდომის ჩატარების თაობაზე, სადაც კენჭისყრის შედეგად ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია (თან ერთვის ოქმს).
აზრი გამოთქვეს: ზ. აბაშიძემ, დ. მაცაბერიძემ.
დაადგინეს: ასოცირებული პროფესორი თ. ქარაია არჩეულ იქნეს ფაკულტეტის საბჭოს წევრად.

მოისმინეს: 5. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო დოქტორანტ გ. ბერიძის განცხადება Web of Science-სა და Scopus-ში ინდექსირებულ, Web of Science-ის იმპაქტფაქტორიან (1.18) სამეცნიერო ჟურნალში "Europe-Asia Studies" გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიისთვის „Electoral Campaigns in Times of Lockdown: Post-Soviet Experiences" თსუ-ის რექტორის მიერ დოქტორანტების მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ; ასევე, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ჟურნალის იმპაქტფატქორი (თან ერთვის ოქმს).
აზრი გამოთქვეს: მ. შამილიშვილმა, ნ. ფარცხალაძემ

დაადგინეს: დამტკიცდეს გადაწყვეტილება დოქტორანტ გ. ბერიძისთვის რექტორის #13/04, 19/05/2021 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობის შესახებ.

მოისმინეს: 6. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო დოქტორანტ თ. გუგუშვილის განცხადება Web of Science-სა და Scopus-ში ინდექსირებულ, Web of Science-ის იმპაქტფაქტორიან (1.18) სამეცნიერო ჟურნალში Erdkunde გამოქვეყნებული სტატიისთვის „The rise of guesthouse tourism in the Greater Caucasus and theeffects of the covid pandemic. The example of Lagodekhi town and its Protected Area, Georgia". რექტორის მიერ დოქტორანტების მაღალრეირინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი ჯილდოს მინიჭების შესახებ (თან ერთვის ოქმს);
აზრი გამოთქვეს: მ.მაცაბერიძემ, ფ. ასანიშვილმა.
დაადგინეს: დამტკიცდეს გადაწყვეტილება დოქტორანტ თ. გუგუშვილისთვის რექტორის #13/04, 19/05/2021 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობის შესახებ.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას რეცენზენტებისა და სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ.
აზრი გამოთქვეს: თ. მატარაძემ, ვ. ლორთქიფანიძემ.
დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი გეოგრაფია" დოქტორანტ ტატიანა სიჭინავას სადისერტაციო ნაშრომისა და დაცვის კომისიის შემადგენლობა:

დოქტორანტი: ტატიანა სიჭინავა
სამეცნიერო ხელმძღვანელები: გიორგი გოგსაძე - პროფესორი; თამარ დოლბაია - პროფესორი;
სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,შრომით მიგრანტთა საქართველოში ინტეგრაციის და განსახლების თავისებურებები''
სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პუბლიკაცია: Tsiklashvili, N., Turmanidze, T., & Robitashvili, N. (2019). Causing Reasons and Results of Migration in Georgia (In the context of gender). *Fundamental and applied researches in practice of leading scientific schools*, *31*(1), 220-223.
2) ნანა ბერძენიშვილი - გეოგრაფიის დოქტორი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Berdzenishvili, N. (2022, December 4). შრომითი მიგრაციის ,,სიკეთე'' საქართველოში. In International Scientific Conference "Modern Problems of Ecology" (Vol.8).
3) ჰიუ ქესიდი (Hugh Cassidy) - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კანსასის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პუბლიკაცია: Borjas, G. J., & Cassidy, H. (2020). *The adverse effect of the COVID-19 labor market shock on immigrant employment* (No. w27243). National Bureau of Economic Research.
(2022). The labor market impact of Covid-19 on immigrants. *IZA World of Labor.*

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია

1) იოსებ სალუქვაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი;
პუბლიკაცია: Bailey, A. J., Drbohlav, D., & Salukvadze, J. (2018). Migration and pastoral power through life course: Evidence from Georgia. *Geoforum*, *91*, 97-107.
2) ია იაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Iashvili, I., von Reichert, C., & Gvenetadze, T. (2016). " FOR THE SAKE OF THE FAMILY": CONTEMPORARY GEORGIAN MIGRATION IN THE USA. *International Journal of Arts & Sciences*, *9*(2), 623.
3) გიორგი კვინიკაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
პუბლიკაცია: Kvinikadze, G. (2017). Conceptualization of geo-economic threats in small countries with transition economies. *Economic and Regional Studies (Studia Ekonomiczne i Regionalne)*, *10*(673-2017-2791), 42-52.
4) გიორგი მელაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Khomeriki, G., Meladze, G., Nadareishvili, N., Tutberidze, M., Kvirkvelia, N., Dzhvarsheishvili, S., ... & Bokeria, M. (2022). Demographic Issues of Social-Economic Development of Eastern Georgia: Population as a Demographic Potential. *GEORGIAN GEOGRAPHICAL JOURNAL*, *2*(1).
5) ავთანდილ სულაბერიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.
პუბლიკაცია: Sulaberidze, A., Archvadze, J., & Sulaberidze, V. (2020). Migration Trends and Migration Potential of Georgia's Population. In *Migration from the Newly Independent States* (pp. 127-142). Springer, Cham.
6) მზია შელია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Tukhashvili, M., & Shelia, M. (2012). The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period.
7) თამაზ ზუბიაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Zubiashvili, T. (2015). Contemporary migratory situation in Georgia. *International Journal of Multidisciplinary Thought*, *5*(4), 25-32.

8. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის კურიკულუმში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია (ოქმს თან ერთვის).
აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, ს. დუნდუამ, მ. წერეთელმა
დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით

9. მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ რეაკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ვ. ლორთქიფანიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა.
დაადგინეს: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“ წარდგენილ იქნეს რეაკრედიტაციაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე — სალომე დუნდუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი — ნათელა ფარცხალაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

15.02.2023

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

ვალერიან მელიქიძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

შოთა ქარქაშაძე

ნინო პაქსაშვილი

ცირა თოფურია

კახი კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

რატი ხითარიძე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179, ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07
ელფოსტა	chancellery@tsu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	რექტორი: ჯაბა სამუშია, ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ირმა გრძელიძე, ტელ: 577 13 15 53, ელ-ფოსტა: irma.grdzelidze@tsu.ge
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დეტალური წინაპირობები იხ.: www.tsu.ge

									სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი			სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები					უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება							მიმართულებათაშორისი დარგების შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ერთზე მეტი ტესტის ტიპის არჩევის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებისას პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა თითოეული ტესტის ტიპის მიხედვით		
	სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება/მიმართულებები	მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებულია თუ არა	დაფინანსება	სწავლების ენა	წლიური გადასახადი	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა	A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი	სულ	წაკითხულის გაგება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა	სულ	გამოცდა/გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში	გამოცდა უცხო ენაში			A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი
									1	2	3											1	2	3
52	**გენდერის კვლევა**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	გენდერის კვლევის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	10									100	გამოცდა სპეციალობაში - 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში - 30 გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) -30	ინგლისური ენა B2- 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა	10			
53	**სოციოლოგია**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	10									100	გამოცდა სპეციალობაში - 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში B2- 40		გამოცდა სპეციალობაში	10			

54	**სოციალური მუშაობა**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მუშაობის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში (ესსე) - 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობასა -40 და ინგლისურ ენაში B2 - 20		გამოცდა სპეციალობაში	**10**			
55	**მედიის კვლევები**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მედიის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**14**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 20, გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) -20	ინგლისური ენა B 2, 20.	გამოცდა სპეციალობაში გასაუბრება სპეციალობაში და გამოცდა ინგლისურ ენაში	**14**			
56	**პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ინგლისური ქართული კომპონენტებით	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში(ესსე) 40, (მინიმალური ზღვარი 51%), გასაუბრება სპეციალობაში 30, ინგლისური ენის გამოცდა (B2) 30.	ინგლისური ენა B2 - 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისურ ენის გამოცდა	**10**			
57	**პოლიტიკის მეცნიერება**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**14**									100	გამოცდა სპეციალობაში 80 (მინიმალური ზღვარი 51%) და გასაუბრება ინგლისურ ენაში (B2) 20.		გამოცდა სპეციალობაში	**14**			

	პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**14**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%) და გასაუბრება სეციალობაში 20, ინგლისურ ენაში (B2) 30.	ინგლისური ენა B2. 30	გამოცდა სპეციალობაში	**14**			
59	**მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მეცნიერების მაგისტრი მედიის კვლევებში	აკრედიტებულია	ფინანსდება	ინგლისური	3200 (საქ. მოქალაქეებისთვის) 6200 (არა საქ. მოქალაქეებისთვის)	**10**									100	გამოცდა(ესსე ინგლისურ ენაზე) - 40. (მინიმალური ზღვარი 51%). გასაუბრება - 20. გამოცდა ინგლისურ ენაში B2. 40.	ინგლისური ენა B2. 40	გამოცდა(ესსე ინგლისურ ენაში) ინგლისური ენის გამოცდა	**10**			
60	**დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**14**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 20. გამოცდა ინგლისურ ენაში B2. 30	ინგლისური ენა B2 - 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა	**14**			
61	**სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში 80 (მინიმალურიო ზღვარი 51%) ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20.	ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20.	გამოცდა სპეციალობაში	**10**			
62	**ევრაზიისა და კავკასიის კვლევები**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%), გამოცდა ინგლისურ ენაში 50	ინგლისური ენა B2 - 50	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა	**10**			

63	**დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 30 გასაუბრება ინგლისურ ენაში, B1 - 30		გამოცდა სპეციალობაში გასაუბრება სპეციალობაში	**10**			
64	**კონფლიქტოლოგია**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	კონფლიქტოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**14**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში - 20 გასაუბრება უცხო ენაში (ინგლისური ენა B2) - 20		გამოცდა სპეციალობაში გასაუბრება სპეციალობაში	**14**			
65	**ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	ჟურნალისტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10(თსუ) 10(ბსუ)**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%), გამოცდა ინგლისურ ენაში 40	ინგლისური ენა B2, 40	გამოცდა სპეციალობაში და გამოცდა ინგლისურ ენაში	**10(თსუ) 10(ბსუ)**			
66	**ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება**	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი ორგანიზაციის განვითარებაში	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**14**									100	გამოცდა სპეციალობაში 40 (მინიმალური ზღვარი 51%), გასაუბრება სპეციალობაში 20. გამოცდა ინგლისურ ენაში B1-40.	ინგლისური ენა B1, 40	გამოცდა სპეციალობაში	**14**			

ანკეტის შევსების თარიღი

რექტორი **მ.ა.**

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს

სალომე დუნდუას

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორის,

იოსებ სალუქვაძის

მიმართვა

ქალბატონო სალომე,

2023 წლის 13 თებერვალს შედგა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სხდომა, რომელზეც ჩატარდა არჩევნები ორ მნიშვნელოვან საკითხზე. ესენია:

1. ფაკულტეტის საბჭოში წევრის ჩანაცვლება;
2. მიმართულების ხელმძღვანელის არჩევა.

გთხოვთ, ფაკულტეტის საბჭოს ამცნოთ, რომ ნინო პავლიაშვილის ნაცვლად, მიმართულებიდან საბჭოს წევრად არჩეულია პროფესორი თამარ დოლბაია.

ასევე, გთხოვთ, დეკანის ბრძანებით, მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნოთ ფარული კენჭისყრითა და მიმართულების აკადემიური პერსონალის სიითი უმრავლესობით არჩეული პროფესორი თამარ დოლბაია.

წერილს თან ერთვის მიმართულების სხდომის ოქმი.

პატივისცემით,

იოსებ სალუქვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს

სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის

პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელის

მალხაზ მაცაბერიძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქალბატონო სალომე,

მოგახსენებთ, რომ

მიმდინარე წლის 6 თებერვალს ჩატარდა მიმართულების სხომა (ოქმი თან ერთვის) სადაც, მიმდინარე საკითხებთან ერთად განხილულ იქნა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოში წევრის არჩევა.

ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელდა ასოცირებული პროფესორი, თამარ ქარაია, რომელიც ჩაანაცვლებს - ასოცირებულ პროფესორ ს.დუნდუას.

მოგმართავთ თხოვნით, თ. ქარაიას კანდიდატურა წარუდგინოთ ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

მ. მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და

პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების

აკადემიური პერსონალის შეხვედრის

ოქმი

06/02/2023

2023 წლის 6 თებერვალს შედგა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების აკადემიური პერსონალის შეხვედრა. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ფაკულტეტის დეკანად ს.დუნდუას არჩევასთან დაკავშირებით, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებისთვის ადგილის გამოთავისუფლების საკითხის განხილვა

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ვალერიან დოლიძე - ასოცირებული პროფესორი
2. მალხაზ მაკაბერიძე - პროფესორი
3. სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი
4. თამარ ქარაია - ასოცირებული პროფესორი
5. ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
6. ავთანდილ ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი
7. გიორგი მელიქიძე - ასისტენტ პროფესორი;

მოისმინეს: 1. მიმართულების ხელმძღვანელმა დამსწრეთ მოახსენა, ფაკულტეტის დეკანად ს.დუნდუას არჩევასთან დაკავშირებით, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოში ადგილის გამოთავისუფლების საკითხი;

აზრი გამოთქვეს: ზ.აბაშიძემ, თ. ქარაიამ, ა.ტუკვაძემ, გ.მელიქიძემ.

სხდომაზე აირჩიეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მ.მაკაბერიძე

გ.მელიქიძე

ზ.აბაშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატად დასახელდა მიმართულების ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია.

არჩევნები ჩატარდა ფარული კენჭისყრით.

კენჭისყრის შედეგები: თ.ქარაია: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახეობის წევრად პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან, ფარული კენჭისყრით, არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია;

2. ინფორმაცია გაეგზავნოს ფაკულტეტის საბჭოს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქ-ნ სალომე დუნდუას
ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის, გიორგი ბერიძის **წერილი**

ქალბატონო სალომე, მოგახსენებთ 2023 წლის 9 თებერვალს, Web of Science-სა და Scopus-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში "Europe-Asia Studies" ჩემი თანაავტორობით გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია „Electoral Campaigns in Times of Lockdown: Post-Soviet Experiences''. მოცემული ჟურნალს აქვს Web of Science-ის იმფაქტ ფაქტორი (1.18).

იხილეთ სტატიის ბმული:
https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09668136.2022.2159015?src=&journalCode=ceas20

გთხოვთ, საკითხს მისცეთ მსვლელობა თსუ-ის რექტორის დოქტორანტების მიერ მაღალრეირინგულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისთვის განკუთვნილი ჯილდოს მისანიჭებლად.

გიორგი ბერიძე

14.02.2023

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის სოციოლოგიის
მიმართულების მეხუთე სემესტრის დოქტორანტი
თემურ გუგუშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო სალომე,

გაცნობებთ, რომ 2022 წელს ჟურნალ Erdkunde გამოვაქვეყნე სტატია შემდეგი დასახელებით „The rise of guesthouse tourism in the Greater Caucasus and the effects of the covid pandemic. The example of Lagodekhi town and its Protected Area, Georgia“.

გთხოვთ, სტატია წარადგინოთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ჯილდოზე.

გიზიარებთ სტატიის https://www.erdkunde.uni-bonn.de/archive/2022/the-rise-of-guesthouse-tourism-in-the-greater-caucasus-and-the-effects-of-the-covid-pandemic.-the-example-of-lagodekhi-town-and-its-protected-area-georgia#:~:text=Gugushvili%2C%20Thomas%20Kohler-,Download%20PDF,-DOI%3A%2010.3112/erdkunde და ჟურნალის შესახებ ინფორმაციას https://mjl.clarivate.com/journal-profile .

პატივისცემით,

თემურ გუგუშვილი

27.01.2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანს, ქ-ნ სალომე დუნდუას
ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების
სამსახურის უფროსის, სანდრო ტაბატაძის

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო სალომე, მოგახსენებთ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის, თემურ გუგუშვილის თანაავტორობით შესრულებული სტატია „The rise of guesthouse tourism in the Greater Caucasus and the effects of the covid pandemic. The example of Lagodekhi town and its Protected Area, Georgia" გამოქვეყნებულია Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში "Erdkunde", რომლის იმპაქტ ფაქტორია (IF) 2.184.

ასევე, ამავე ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის, გიორგი ბერიძის თანაავტორობით შესრულებული სტატია "Electoral Campaigns in Times of Lockdown: Post-Soviet Experiences" გამოქვეყნებულია Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში "Europe-Asia Studies", რომლის იმპაქტ ფაქტორია (IF) 1.18

პატივისცემით,



სანდრო ტაბატაძე
14.02.2022

<u>**საბაკალავრო პროგრამები:**</u>

1. ***საფაკულტეტო:***

ცვლილება: სასწავლო კურსში ლექტორის დამატების შესახებ.

ცვლილების აღწერა: სასემინარო საათზე, საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსში **„კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“,** დაემატა მოწვეული ლექტორი თამარ დორეული.

ცვლილება: ლექტორის ერთჯერადად დამატება.

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო არჩევით სასწავლო კურსში **„ფილოსოფიის შესავალი“,** ერთჯერადად დაემატა მოწვეული ლექტორი გიორგი გრიგალაშვილი

2. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის მეცნიერება“***

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება.
ცვლილების აღწერა:

1. **,,ახლო აღმოსავლეთის შედარებითი პოლიტიკა**“ -ალექსანდრე წურწუმია,
2. **„ახალი დროის პოლიტიკური მოძღვრებები“,** სალომე დუნდუა
3. **„პოლიტიკური ანთროპოლოგია“,** სალომე დუნდუა
4. **„პოლიტიკური იდეოლოგიები“,** სალომე დუნდუა
5. **„საქართველოს პოლიტიკური სისტემები“,** მალხაზ მაცაბერიძე
6. **„ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია“,** მალხაზ მაცაბერიძე

ცვლილება: სასწავლო კურსის სილაბუსის სახელწოდების ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

არჩევით სასწავლო კურსს **„პოლიტიკა, მედია და საზოგადოებრივი აზრი”,** შეეცვალა სათაური და გახდა „**პოლიტიკა, მედია და საზოგადოებრივი აზრი: მიმდინარე პოლიტიკის ანალიზი”.**

ცვლილება: ლექტორის ცვლილება
ცვლილების აღწერა:

1. არჩევით სასწავლო კურსს **„პოლიტიკა, მედია და საზოგადოებრივი აზრი: მიმდინარე პოლიტიკის ანალიზი”** ნინო აბზიანიძის, გიორგი მელიქიძისა და ირინე ჭუმბურიძის ნაცვლად, გაუძღვებიან: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე; მოწვეული ლექტორები მარიანა ქევხიშვილი და ხატია სამხარაძე.

ცვლილება: ახალი **არჩევითი** სასწავლო კურსების დამატება:
ცვლილების აღწერა:

1. **,,საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაცია”(30/30)**- ლექტორი -კორნელი კაკაჩია, პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

2. **„პოლიტიკა და ციფრული ტექნოლოგიები"(15/30)** - ლექტორი -ლადო ნაფეტვარიძე, ასისტენტ პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;
3. **„მეხსიერების პოლიტიკა, თეორია და პრაქტიკა" (15/30),** ლექტორი თამარ ქარაია, ასოცირებული პროფესორი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი;
4. **„საბჭოთა საქართველო: ტოტალიტარული რეჟიმის აღზევება და დაცემა" (15/30),** - ლექტორები: მალხაზ მაცაბერიძე პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; **თამარ ორჯონიკიძე,** მოწვეული ლექტორი პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი;
5. **„პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში" (15/30),** - მალხაზ მაცაბერიძე პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ცვლილება: ლექტორის დამატება (ერთეჯარადად)
ცვლილების აღწერა:

1. **„კავკასიის შედარებითი პოლიტიკა"** - დაემატოს მოწვეული ლექტორი გიგი ბერიძე;
2. **„მსოფლიოს პოლიტიკა"** - მოწვეული ლექტორი თორნიკე ზურაბიშვილი.
3. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „საერთაშორისო ურთიერთობები",***

ცვლილება: ლიტერატურის განახლება
ცვლილების აღწერა:

„საერთაშორისო ეკონომიკის" კურსის სილაბუსში, ლექტორი ემირ ეთერია, განახლდა ძირითადი ლიტერატურა;

ცვლილება: ლექტორის დამატება და ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

1. **„დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი"** - ზურაბ დარჩიაშვილის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გიგი გიგიაძე.
2. **„საერთაშორისო ორგანიზაციები"** - მარიამ გრიგალაშვილის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ირაკლი სირბილაძე.

ცვლილება: საკონტაქტო საათების კორექტირება
ცვლილების აღწერა:

„საერთშორისო პოლიტიკის საკითხები" - ნაცვლად 30/15, გახდა 15/15. ლექტორი, ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე.

4. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია",***

ცვლილება: ლექტორის დამატება,

ცვლილების აღწერა:

- **„კულტურის გეოგრაფია“** - წაიკითხავს მოწვეული ლექტორი რუსუდან თევზაძე, ნაცვლად ბაადურ წერეთლისა.

ცვლილება: შეფასების კრიტერიუმების გაანხლება
ცვლილების აღწერა:

- **საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ჩასწორება;**

ცვლილება: სემესტრის ცვლილება
ცვლილების აღწერა:

- სასწავლო არჩევითი კურსი **„დემოგრაფიის საფუძვლები“** (5 კრედიტი, კვირაში 3 სთ, ლექტორი – პროფ. ვ. ლორთქიფანიძე) წაკითხულ იქნას ორივე სემესტრში (ამჟამად ის იკითხება მხოლოდ საშემოდგომო სემესტრში).

5. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართული რუსულენოვანი კომპონენტებით)“,***

ცვლილება: ლექტორის დამატება/ცვლილება

ცვლილების აღწერა:

- **„ანალიზისა და თვალსაზრისი ჟურნალისტურ შემოქმედებაში“** - დაემატა მოწვეული ლექტორი ნინო წითლანაძე.
- **,,მემუარები როგორც კულტურის ფენომენი''** - გაუძღვება მოწვეული ლექტორი თამთა თურმანიძე;
- **,,ჟურნალისტური აუდიტორიის ფენომენი** ''- ქალბატონი ჯილდა ასათიანის ნაცვლად კურსს გაუძღვება მოწვეული ლექტორი მარიანა ასანიძე.

6. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მუშაობა“,***

ცვლილება: ახალი ინგლისურენოვანი კურსის დამატება

ცვლილების აღწერა:

- არჩევითი სასწავლო კურსი **„სოციალური მუშაობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში“** 15/15 - ლექტორები, ასოცირებული პროფესორები: სალომე ნამიჭეიშვილი და ნათელა ფარცხალაძე.

7. ***საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ჟურნალისტიკა“***

ცვლილება: პროგრამაში ახალი სასწავლო კურსების დამატება.
ცვლილების აღწერა:

1. პროგრამას დაემატება არჩევითი საგანი **„არჩევნების გაშუქება“** (5 კრედიტი, 15/15), რომელსაც გაუძღვება სილაბუსის ავტორი, მოწვეული პედაგოგი, ირაკლი იადონიძე. (საგანი აღდგენილია „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ პროგრამიდან. საგანი წაიკითხება ორივე სემესტრში).
2. პროგრამას დაემატება არჩევითი საგანი **„მე-20 საუკუნის დიადი წიგნები“** (5 კრედიტი, 15/15), რომელსაც გაუძღვება სილაბუსის ავტორი, მოწვეული პედაგოგი მერი ტორაძე. (საგანი აღდგენილია „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ პროგრამიდან. საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში).
3. პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი **„კინო მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში“** (5 კრედიტი, 15/15) - ავტორი: მოწვეული პედაგოგი ქეთევან პატარაია. საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.
4. პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი **„ვიზუალური თხრობა სოციალური მედიისთვის“** (5 კრედიტი, 15/30) - ავტორი: მოწვეული პედაგოგი ლიანა მარქარიანი. საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.

ცვლილება: ლექტორის დამატება
ცვლილების აღწერა:

1. პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს **„ანალიზისა და მოსაზრების წერა“** (5 კრედიტი, 30/30, ავტორი მარი წერეთელი) დაემატებიან პედაგოგები: ასისტენტ-პროფესორები - თინათინ მაჭარაშვილი და ნათია სვანიძე;
2. პროგრამის არჩევით სასწავლო კურსს **„მობილური ჟურნალისტიკა და აპლიკაციები“ დაემატა ლექტორი** - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტი ლიანა მარქარიანი;

ცვლილება: სემესტრის ცვლილება
ცვლილების აღწერა:

1. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი **„სპორტული ჟურნალისტიკა“** (5 კრედიტი, 15/15), ავტორი: ნიკოლოზ ტაბატაძე, ნაცვლად შემოდგომის სემესტრისა, წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.
2. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი **„ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“** (5 კრედიტი, 15/15), ავტორი: ნანული ტალახაძე, ნაცვლად შემოდგომის სემესტრისა, წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.

ცვლილება: კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება
ცვლილების აღწერა:

1. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის **„მობილური ჟურნალისტიკა და აპლიკაციები“** საკონტაქტო საათები ნაცვლად **15/15, იქნება 15/30.**

საფუძველი: არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საგნის სპეციფიკიდან და ჯგუფში დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, 2 საათში ვერ ხერხდება ყველა სტუდენტისთვის სათანადო ყურადღების მიქცევა, დავალებების გასწორება და პრეზენტაციების მოსმენა). განსაკუთრებით რთულია მობილურით მონტაჟის და რედაქტირების ხელოვნების სწავლება.

ცვლილება: სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის ცვლილება
ცვლილების აღწერა:

1. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის **„მობილური ჟურნალისტიკა და აპლიკაციები“** განახლდა სასწავლო კურსის შინაარსი და დაზუსტდა შუალედურის და ფინალურის შეფასების გრადაციები (5-ქულიანი ინტერვალით);*(შეიცვალა ფინალური და შუალედური გამოცდა: შუალედურზე, ნაცვლად სრულყოფილი პირადი გვერდის/ ბლოგის პრეზენტაციისა, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი, ორიგინალური ფოტოსურათებითა და საავტორო ტექსტით აწყობილი „სპარკ“ ამბავი, ხოლო ფინალურში - სრულყოფილი ბლოგ-გვერდის წარდგენის ნაცვლად, სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ მობილურით მომზადებული „ვებდოკი“.)*

<u>სამაგისტრო პროგრამები</u>

1. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“***

   ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაში საგნების დამატება -
   ცვლილების აღწერა:

   - **„პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია“** - ლექტორები: ზვიად აბაშიძე, ნიკა გიგაური;
   - **„შრომისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა“** - ლექტორი ჯაბა ურუტაძე;
   - **„ელექტრონული მმართველობა და საჯარო პოლიტიკა“** - ლექტორი ვლადიმერ ნაფეტვარიძე.

2. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“***

ცვლილება: ლექტორის დამატება
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსს **„საერთაშორისო მოლაპარაკებები“** - ქეთევან ჭუმბურიძის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი გიგი გიგიაძე.

ცვლილება: კურსების დამატება
ცვლილების აღწერა:

- არჩევითი სასწავლო კურსი **„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“** 15/15- მოწვეული ლექტორი შორენა გიგაური;
- არჩევითი სასწავლო კურსი **„ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი“** 15/15 - მოწვეული ლექტორი პროფესორი ანდჟეი პუკშტო და ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი.

3. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „კონფლიქტოლოგია“*

ცვლილება: სემესტრისა და საათობრივი დატვირთვის ცვლილება
ცვლილების აღწერა:

- **„კონფლიქტების პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სფეროში“** - მესამე სემესტრის ნაცვლად გადმოტანილი იქნება მეორე სემესტრში. ნაცვლად 15/15-ისა გახდება 30/15.
- **,,პოპულიზმი და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე”** - მესამე სემესტრის ნაცვლად გადმოტანილი იქნება მეორე სემესტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი: აუდიტორიის ნუმერაციის ცვლილება: მეორე კორპუსის №234 და №235 აუდიტორიები, ნაცვლად №239-სა და №240-სა .

4. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პოროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“,*

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება
ცვლილების აღწერა:

- პროგრამის სასწავლო კურსების 120 კრედიტი გადანაწილდა შემდეგნაირად: სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობოდა 65 კრედიტი და გახდა - 60; არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობოდა 40 კრედიტი და გახდა - 45. თავისუფალი კრედიტები 15 ECTS- დარჩა უცვლელი

ცვლილება: სტატუსის ცვლილება -
ცვლილების აღწერა:

- **„შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით“** - ლექტორი დავით სიჭინავა. გახდა არჩევითი ნაცვლად სავალდებულოსი.

ცვლილება: სასწავლო კურსის კრედიტების ცვლილება
ცვლილების აღწერა

- **„მედია, ციფრული და საინფომაციო წიგნიერება“** - გახდა 5 კრედიტიანი ნაცვლად ოთხისა;

- **„საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიები, გამოყენებითი კომუნიკაციები და კვლევა“** - გახდა 5 კრედიტიანი ნაცვლად ექვსისა;
- **„მულტიმედია (პრატიკუმი) მედიაფსიქოლოგებისთვის (ქართულ ენაზე)“-** გახდა 5 კრედიტიანი ნაცვლად ექვსისა;

5. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება“,***

ცვლილება: ერთჯერადად გაიხსნას შემდეგი კურსები გაზაფხულის სემესტრში:
ცვლილების აღწერა;

- **„დემოკრატია, პოსტდემოკრატია, პოპულიზმი“** - ლექტორი მ.მუსხელიშვილი.
- **„პოსტსოციალიზმის ანთროპოლოგიური შესწავლა“** - ლექტორი თეონა მატარაძე.
- **„პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა“** - ლექტორი მ.მუსხელიშვილი.
- **„სოციალური მოძრაობების თეორია და პოსტ -სოციალისტური მოძრაობები“** - ლექტორი ნინო ხელაია
- **„საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“** - ერთჯერადად წაიკითხავს პროფესორი გია ჟორჟოლიანი.

6. ***სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“,***

ცვლილება: პროგრამის შედეგების კორექტირება

ცვლილების აღწერა:

- პროგრამაში სწავლის შედეგების ცვლილება - ექვსი შედეგიდან სამ შედეგზე გადასვლა. განათლების მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად.

ცვლილება: მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ნაცვლად - **სოციალური მეცნიერებების მაგისტრი.**

7. ***სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამა - „სოციალური მუშაობა“,***

ცვლილება: ახალი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის დამატება.

ცვლილების აღწერა:

- **„კეთილდღეობის სისტემის რეაგირება სოციალურ საჭიროებაზე/ *Welfare System Response to Social Needs*“** 15/15 - არჩევითი, ლექტორები, ასოცირებული პროფესორები: ნინო შატბერაშვილი და ნათელა ფარცხალაძე.

ცვლილება: ლექტორის დამატება
ცვლილების აღწერა:

- **„სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში“** -არჩევითი, კითხულობდა ნელი აკობია და დაემატა ლექტორი ნინო შატბერაშვილი.

ცვლილება: კურსის სემესტრული ცვლილება(ერთჯერადად)

ცვლილების აღწერა:

- **„სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში“** - ლექტორი სალომე ნამიჭეიშვილი, კურსი ერთჯერადად გაიხსნება გაზაფხულის სემესტრში.

8. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „პოლიტიკის მეცნიერება“,*

ცვლიელბა: ლექტორის დამატება
ცვლიელბის აღწერა:

- **„სტრატეგია და სტრატეგიული აზროვნება“** - დაემატა ხატია იმერლიშვილი.

9. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“*

ცვლილება: ახალი სასწავლო კურსის დამატება
ცვლილების აღწერა:

- სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამიდან დაემატოს **„მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია“** არჩევითი – 5 კრედიტი, 30/15, პროფესორი თამარ დოლბაია;

ცვლილება: კურსის ერთჯერადად გაზაფხულის სემესტრში გამოტანა
ცვლილების აღწერა:

- **„მსოფლიოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები“,** 5 კრედიტი, 30/15, ლექტორი ვაჟა ლორთქიფანიძე.
- **„მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია“** - ასოც.-პროფ. ია იაშვილი

10. *სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“,*

ცვლილება: არჩევითი კურსის დამატება
ცვლილების აღწერა:

- **„პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაცია სამხრეთ-აღმოსავლეთევროპაში: პოლიტიკური პროცესი, ნაციონალიზმი და იდენტობები ბალკანეთში“** 15/15, არჩევით. ლექტორი, ასოცირებული პროფესორი დავით მაცაბერიძე.

11. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „მედიის კვლევები“,

ცვლილება: არჩევითი კურსის დამატება
ცვლილების აღწერა:

1. პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი: **„კულტურა როგორც კომუნიკაცია: თეორიულ - პრაქტიკული ასპექტები“** (5 კრედიტი, 15/15), რომელსაც გაზაფხულის სემესტრში გაუძღვება სილაბუსის ავტორი, მოწვეული პედაგოგი ქეთევან ჯიშიაშვილი. საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.
2. პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი **„მედია და საზოგადოება“** (5 კრედიტი, 15/15) - ავტორი: მოწვეული პედაგოგი ლაურა კუტუბიძე. საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.
3. პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი: **„ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა ევროპულ სააზროვნო ტენდენციათა კონტექსტში“** (5 კრედიტი, 15/15), რომელსაც გაზაფხულის სემესტრში გაუძღვება სილაბუსის ავტორი, მოწვეული პედაგოგი მაია იანტბელიძე. საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრში.

ცვლილება: საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტის განხორციელება (როდესაც სწავლის პროცესს წარმართავს უცხოეთში მყოფი აკადემიური პერსონალი) უცხოეთიდან დისტანციური სწავლების ფორმით.

ცვლილების აღწერა:

საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022-2023 სასწავლო წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დისტანციური სწავლების განხორციელების დაშვება.

ცვლილების დასაბუთება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების *(MES 7 22 0000977203 – 31/08/2022 - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების'' მე-3 მუხლის მე-რ პუნქტის ,,ა'' და ,,ლ'' ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2022 წლის 31 აგვისტოს N974753 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე)* გათვალსიწინებით 2022-2023 სასწავლო წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ.

<u>სადოქტორო პროგრამები</u>

1. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“** - (რე)აკრედიტაციაზე წარდგენა.

ცვლილება: სახელის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება. კერძოდ, **„კონფლიქტოლოგია“** ნაცვლად „კონფლიქტების ანლიზი და მართვისა“ და **„კონფლიქტოლოგიის დოქტორი“** ნაცვლად „სოციალური მეცნიერებების დოქტორისა“

ცვლილება: არჩევით სასწავლო კომპონენტებში სასწავლო კურსების დამატება

1. **„კონფლიქტოლოგია“** (30/30), ლექტორთა ჯგუფი
2. **„სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების გაღრმავებული კურსი“** (30/15), ლექტორები - რევაზ ჯორბენაძე და თეონა მატარაძე.

ცვლილებების აღწერა: სადოქტორო პროგრამაში ცვლილებები განხორციელდა (რე)აკრედიტაციის მიზნით. კერძოდ, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განხორციელებული ცვლილება (კონფლიქტოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების შემდგომ დეტალური სფეროს ცვლილება. კონფლიქტოლოგია „0314-დან, სოციოლოგია და კულტურის კვლევები“ გადავიდა „0388-ში, ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას“).